ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 31.10.23

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი - 017/23

შეკითხვა:

ადვოკატს დაუკავშირდა კლიენტი და შეატყობინა, რომ მისი არასრულწლოვანი შვილი, ამ ბავშვის ბებიამ წაიყვანა უნებართვოდ. ადვოკატსა და კლიენტს შორის არ არის გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულება. კლიენტმა ჰონორარის სახით გადასცა 3000 ლარი. ადვოკატმა აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე შეადგინა სტრატეგია: პოლიციაში განცხადების დაწერა და სოც.მუშაკების თანდასწრებით ბავშვის დაბრუნება დედის საცხოვრებელ ფართში. საქმის წარმოებისას ადვოკატმა შეიტყო, რომ კლიენტმა მას მიაწოდა არასწორი ინფორმაცია, კერძოდ კი იმის თაობაზე, რომ ბავშვის მამა იმყოფებოდა საზღვარგარეთ, როდესაც რეალურად აღნიშნული პიროვნება იმყოფება საქართველოში და სწორედ მან წაიყვანა ბავშვი ბებიასთან, სადაც ცხოვრება თავად ბავშვის სურვილია.

ადვოკატმა სასამართლოში შეიტანა სარჩელი, თუმცა დაუშვა ტექნიკური შეცდომა, რადგანაც კლიენტის მაგივრად მიუთითა მისი სხვა კლიენტის სახელი და გვარი. ამის შემდგომ ადვოკატმა კვლავ შეიტანა სარჩელი სასამართლოში, რომელიც სასამართლოს მიერ დაახლოებით 3-4 თვის შემდგომ იქნა დახარვეზებული, რადგანაც ადვოკატს მინდობილობის თანახმად არ ჰქონდა უფლებამოსილება, რომ სასამართლოში შეეტანა სარჩელი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროის განმავლობაში ადვოკატი მიუხედავად არაერთი მცდელობისა, კლიენტის მხრიდან ვერ იღებდა დამატებით ინფორმაციას და კლიენტი თავს არიდებდა მასთან კონტაქტს.

აღნიშნულის თაობაზე ადვოკატმა კლიენტს მიაწოდა ინფორმაცია და შესთავაზა ხარვეზის აღმოფქვრა, რამაც გამოიწვია კლიენტის გაღიზიანება, მან ადვოკატს მიაყენა არაერთი სიტყვიერი შეურაწყოფა და განუცხადა, რომ მის მიმართ გაავრცელებდა ისეთ განცხადებებს, რომელიც შელახავდა ადვოკატის საქმიან რეპუტაციასა და პირად ღირსებას, ასევე მოითხოვა ჰონორარის დაბრუნება. აღნიშნული საუბრის შემდგომ ადვოკატს გაუჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ კლიენტი ნამდვილად ძალადობდა საკუთარ არასრულწლოვან შვილზე, როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად.

შესაბამისად ადვოკატს აინტერესებს, ხომ არ დაარღვევს ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ პრინციპებს, თუ მიმართავს საგამოძიებო ორგანოს, დაწერს განცხადებას და მიუთითებს, რომ მისი კლიენტი როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად ძალადობს მის არასრულწლოვან შვილზე?

ასევე ადვოკატი თვლის, რომ მიღებული ჰონორარი არ უნდა დააბრუნოს სრულად, რადგანაც დახარჯა საკუთარი დრო და ენერგია, შეიმუშავა სტრატეგია, მიმართა სასამართლოს და

კლიენტს აწვდიდა სრულ ინფორმაციას, შესაბამისად ხომ არ დაარღვევს ადვოკატი ეთიკურ ვალდებულებას, თუ ის წინასწარ აღებულ ჰონორარს არ დააბრუნებს სრული ოდენობით და დაიტოვებს იმ თანხას, რომელსაც მიიჩნევს გამომუშავებულად?

ანალიზი:

მოცემულ შემთხვევაში, შეკითხვაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, განსახილველია ორი შემთხვევა ხომ არ დაარღვევს ადვოკატი ეთიკურ ვალდებულებას, თუ ის წინასწარ აღებულ ჰონორარს არ დააბრუნებს სრული ოდენობით და დაიტოვებს იმ თანხას, რომელიც მიაჩნია მის მიერ გამომუშავებულად და დაარღვევს თუ არა ადვოკატი ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ პრინციპებს, თუ მიმართავს საგამოძიებო ორგანოს, დაწერს განცხადებას და მიუთითებს, რომ მისი კლიენტი როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად ძალადობს მის არასრულწლოვან შვილზე?

ჰონორარის ნაწილში ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლის თანახმად „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ... ფულადი სახსრები რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“.

შეკითხვაში მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე ირკვევა, რომ ადვოკატს ჰონორარი სრული ოდენობით აქვს აღებული, თუმცა ვერ შეძლო, რომ მის მიერ ნაკისრი ვალდებულებები ბოლომდე დაესრულებინა, რადგანაც კლიენტი მისგან ითხოვს ჰონორარის უკან დაბრუნებას და კლიენტ-ადვოკატის ურთიერთობის შეწყვეტას, ხოლო ადვოკატი მიიჩნევს, რომ მის მიერ გამომუშავებული იქნა აღებული ჰონორარის გარკვეული ნაწილი და თანხა სრული ოდენობით არ უნდა დააბრუნოს. ეთიკის კომისიამ 2016 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეში N038/16 განმარტა, რომ ,,საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (მის მიერ გაწეული მომსახურების პროპორციულად) და ვალდებულია დარჩენილი თანხა

დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას.“ ეთიკის კომისიის აღნიშნულ განმარტებასა და პრაქტიკას ეთანხმება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა, 2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქმეში Nდს-შ/7-16.

უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 21 ნოემბერს საქმე დს-შ/17-16 განმარტების შესაბამისად . „იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისაგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური, ხოლო წარმომადგენელმა, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო 5 წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნოს კლიენტს. ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას, გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით, თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში“.

რაც შეეხება მეორე ფაქტობრივ გარემოებას, კერძოდ კი შეკითხვის შინაარსიდან ირკვევა, რომ ადვოკატს სურს მიმართოს საგამოძიებო ორგანოს საჩივრით მისი კლიენტის მხრიდან მის არასრულწლოვან ბავშვზე შესაძლო ძალადობის ფაქტზე.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მიხედვით, “ადვოკატი ვალდებულია : ა) დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად; ბ) კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ინფორმაცია. 2. ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დარღვევა იწვევს ამ კანონით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი: „ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი:“ კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში“. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის

მე-4 მუხლის მე-3 ნაწილი: „ადვოკატმა განზრახ არ უნდა გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია: ა) კლიენტის წინააღმდეგ; ბ) საკუთარი ან მესამე პირის მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი შესაბამის თანხმობას განაცხადებს“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილი: „ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია: "ა) კლიენტის თანხმობის საფუძველზე; ბ) თუ ინფორმაციის ამგვარი გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში გამართლებულია და აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე იმ პირობით, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს; გ) თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდებისაგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან საკუთარი ჰონორარის მიღებისათვის".

ეთიკის კომისია რეკომენდაციის გაცემისას აღნიშნავს, რომ ადვოკატის კლიენტთან ურთიერთობა ემყარება ადვოკატის ვალდებულებას დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი. ეთიკის კომისიამ 2012 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე #112/11დაადგინა: „კლიენტსა და ადვოკატს შორის ნდობის არსებობის შემთხვევაში, კლიენტი ადვოკატს უმხელს კონფიდენციალურ ინფორმაციას, რასაც ადვოკატი კლიენტის თანხმობით იყენებს სისხლის სამართლის საქმეზე კლიენტის ინტერესების დასაცავად. გასათვალისწინებელია, რომ შესაძლოა სისხლის სამართლის საქმეში დაცვის მხარის სასარგებლო ინფორმაცია და საყურადღებო დეტალი არ იყოს ცნობილი და ხშირ შემთხვევაში ადვოკატი კლიენტისაგან მოიპოვებს განსაკუთრებით მნიშვნელოვან ინფორმაციას. შესაბამისად, კლიენტის სრული ნდობა ადვოკატისადმი და განდობილი კონფიდენციალური ინფორმაცია, ადვოკატს აძლევს შესაძლებლობას სათანადოდ განახორციელოს კლიენტის ინტერესების დაცვა."

„ეთიკის კომისია რეკომენდაციის გაცემისას აღნიშნავს, რომ ეთიკის კოდექსის მე–4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კონფიდენციალურია ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა საადვოკატო მომსახურების განხორციელებისას. ეს ინფორმაცია შეიძლება შეეხებოდეს როგორც უშუალოდ საქმეს, ასევე, იყოს ნებისმიერი სხვა სახის ინფორმაცია, მათ შორის კლიენტის მიერ რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის შესახებ. ადვოკატისათვის კონფიდენციალური ინფორმაცია შესაძლებელია ცნობილი გახდეს უშუალოდ კლიენტისაგან ან სხვა ნებისმიერი წყაროდან პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში. განსახილველ შემთხვევაში, შეკითხვაში მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს ისეთი სახის ინფორმაციას, რაც კლიენტის მიერ დანაშაულის ჩადენას ეხება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეთიკის კომისიამ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, მათ შორის კლიენტის მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის შესახებ ინფორმაცია, რომელიც ადვოკატმა შეიტყო საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. შესაბამისად, ადვოკატმა არ უნდა გაამჟღავნოს ასეთი ინფორმაცია, მათ შორის არ მიაწოდოს სამართალდამცავ ორგანოებს. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულების შემდეგაც ადვოკატი ვალდებულია არ გაამჟღავნოს კლიენტისაგან მიღებული ინფორმაცია, რადგან კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში" (ეთიკის კომისიის წერილობითი რეკომენდაცია 013/19, 25.11.13)

მოცემულ შემთხვევაში, შეკითხვის შინაარსი არ იძლევა სრულყოფილ ინფორმაციას, მოცემული შეკითხვიდან უფრო იკვეთება ის გარემოება, რომ ადვოკატს უნდა საჩივარი წარადგინოს ყოფილი კლიენტის მიმართ ბავშვის უფლებების შესაძლო შეზღუდვის გამო და არა თავისი უფლების დასაცავად, რაზეც ცალსახად კომისია პასუხს ვერ გასცემს, თუმცა ხაზი

კიდევ ერთხელ უნდა გავუსვას იმ მნიშვნელოვან გარემოებას, რომ ნებისმიერი საჩივრის კლიენტის წინააღმდეგ წარდგენისას ადვოკატმა უნდა იხელმძღვანელოს კონფიდენციალობის დაცვის სტანდარტით და დაეყრდნოს კოდექსის 4.4 მუხლს.

დასკვნა:

ჰონორარის ნაწილში ადვოკატს შეუძლია, რომ წინასწარ აღებული სრული ჰონორარიდან გამოქვითოს ის თანხა, რომელსაც ის მიიჩნევს „გამომუშავებულ ჰონორარად", თუმცა აუცილებელია, რომ აღნიშნული გამოანგარიშებისასა ადვოკატი დაეყრდნოს პროპორციულობის პრინციპს, კერძოდ კი მის მიერ გამომუშავებულად მიჩნეული თანხა უნდა მოდიოდეს თანხვედრაში მის მიერ გაწეულ მომსახურებასთან. გამოუმუშავებელი ჰონორარი კი ადვოკატმა უნდა დაუბრუნოს კლიენტს.

კლიენტის წინააღმდეგ საგამოძიებო ორგანოში საჩივრის შეტანის თაობაზე ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატს ეკისრება ვალდებულება არ გაამჟღავნოს კლიენტისაგან მიღებული ინფორმაცია. ადვოკატს კლიენტისაგან პროფესიული საქმიანობის დროს მიღებული ინფორმაციის დაცვის ვალდებულება უნარჩუნდება კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც. ადვოკატს შეეძლო კლიენტისაგან მიღებული ინფორმაცია მის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ გაევრცელებინა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნულ შემთხვევებში.

**იხ. ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია, რომელიც ეხება პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულებას: 007/18*

**იხ. ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია, რომელიც ეხება კონფიდენციალობის პრინციპს: 017/13*

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.